

შპს „ბექარიონი“
ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
1. შესავალი	6
2. კომპანიის საოპერაციო გარემო	6
3. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	7
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები	10
5. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება	11
6. ძირითადი საშუალებები	12
7. არამატერიალური აქტივები	13
8. ფული და ფულის ექვივალენტები	14
9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14
10. მარაგები	14
11. გრძელვადიანი სესხები	14
12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14
13. ამონაგები	15
14. პროდუქციის თვითღირებულება	15
15. ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	15
16. არასაოპერაციო შემოსავალი	16
17. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	16

შპს „ბეჭარიონი-ს“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერი
(ლარი)

		12/31/2019	12/31/2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	166,915	174,424
არამატერიალური აქტივები	7	10,458	11,493
		177,373	185,917
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	82,595	50,415
სავაჭრო მოთხოვნები და სხვა მიმდინარე აქტივები	9	185,641	123,344
მარაგები	10	567,331	419,626
	-	835,567	593,385
მთლიანი აქტივები	-	1,012,940	779,302
მთლიანი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		436,080	185,578
	-	436,080	185,578
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	11	131,640	169,981
	-	131,640	169,981
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მიმდინარე ვალდებულებები	12	445,220	423,743
		445,220	423,743
მთლიანი ვალდებულებები		576,860	593,724
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		1,012,940	779,302

დარეჯან კოფიირიძე
30 სექტემბერი, 2020
თბილისი, საქართველო

შპს „ბექარიონი-ს“
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერი
 (ლარი)

		12/31/2019
ამონაგები	13	5,770,369
თვითღირებულება	14	(4,495,839)
საერთო მოგება		1,274,530
მიწოდების ხარჯები		(1,229)
დასაქმებულთა ანაზღაურება		(414,453)
ცვეთა და ამორტიზაცია		(43,060)
საპროცენტო ხარჯი :		(16,424)
იჯარის ხარჯი		(116,147)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	15	(291,865)
საოპერაციო მოგება		391,352
არასაოპერაციო შემოსავალი	16	32,354
ფინანსური ხარჯი - წმინდა		32,354
მოგება დაბეგვრამდე		423,706
მოგების გადასახადი		-
წმინდა მოგება		423,706
სხვა სრული შემოსავალი:		
მთლიანი სრული შემოსავალი		423,706

დარეჯან კოფიირიძე
 30 სექტემბერი, 2020
 თბილისი, საქართველო

შპს „ბექარიონი-ს“
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერი
 (ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2018 წლის 31 დეკემბერი	-	185,578	185,578
გამოცხადებული დივიდენდი		(173,204)	(173,204)
წმინდა მოგება	-	423,706	423,706
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-		-
2019 წლის 31 დეკემბერი	-	436,080	436,080

დარეჯან კოვზირიძე
 30 სექტემბერი, 2020
 თბილისი, საქართველო

1. შესავალი

შპს „ბექარიონი“

შპს „ბექარიონი“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა და დარეგისტრირდა საგადასახადო ორგანოში 2012 წლის 2 ივლისს. ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის დარეგისტრირდა კოვზირიძე წარმოადგენს კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელს.

კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს საცალო ვაჭრობა (სასმელით და საკვები პროდუქტებით).

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ძველი თბილისის რაიონი, ამალეების I ჩიხი # 7.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
1 აშშ დოლარი/ ლარი	2.8677	2.6766
1 ევრო/ლარი	3.2095	3.0701

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

საქართველო ავლენს ზრდადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს, რომელიც შეიცავს ვალუტის არსებობას, რომლის კონვერტაციაც ვერ ხდება თავისუფლად სხვა ქვეყნების უმრავლესობაში, შედარებით მაღალი ინფლაცია და ძლიერი ეკონომიკური ზრდა.

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. ამასთანავე საქართველოში მოქმედი კომპანიები დგანან არაერთი გამოწვევის წინაშე, რომელიც გამოწვეულია გაკოტრების კანონების განვითარების საჭიროებით, გირავნობის რეგისტრაციის და აღსრულების ფორმალური პროცედურების არარსებობით და სხვა სამართლებრივი და ფისკალური დაბრკოლებებით. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია, როგორც მისი მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული პოლიტიკაზე, ასევე სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკური გარემოზე.

მენეჯმენტს არ შეუძლია სანდოდ შეაფასოს ფინანსური ბაზრის ლიკვიდურობის შემცირების და სავალუტო ბაზრის გაზრდილი არასტაბილურობის გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ისინი იღებენ ყველა საჭირო ზომას, რომ ხელი შეუწყოს კომპანიის მდგრადობას და განვითარებას არსებულ პირობებში.

3. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით (მსს ფასს).

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში და ყველა ღირებულება დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარად არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფული და ფულის ქვივალენტები

ფული და ფულის ქვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღიარდება გარიგების ფასით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შეყიდვის ან მშენებლობის ფასს.

შპს „ბექარიონი-ს“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერი
(ლარი)

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე მაშინვე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენით ღირებულებას.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

კომპანია არ ფლობს მიწას. ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში:

სასარგებლო გამოყენების ვადა (წელი)

ავეჯი და ინვენტარი

2-5

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

არასაფინანსო აქტივების გაუფასურება, მარაგების გარდა

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, გაუფასურების ხარჯის აღიარების გზით. გაუფასურების ხარჯის გაანგარიშება ხდება აქტივის აღდგენით ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უმეტესი.

გაუფასურების შესაფასებლად, აქტივები ჯგუფდება იმ დონემდე სადაც შესაძლებელია განცალკევებულად ფულადი სახსრების მოძრაობის იდენტიფიცირება. ყოველი სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს, არაფინანსური აქტივებზე, გუდვილის გარდა, რაზეც მოხდა გაუფასურება, ხდება იმის შეფასება გასაუქმებელი ხომ არ არის გაუფასურების ხარჯი.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (ეს არის ბანკში გადასახდელი ფულის დისკონტირებული ღირებულება რომელიც შეიცავს გარიგების ხარჯსაც). სესხების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და ახიარდება ფინანსურ ხარჯად.

შპს „ბექარიონი-ს“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერი
(ლარი)

სესხები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად, იქამდე სანამ, საწარმოს არ გააჩნია ვალდებულებების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება საანგარიშო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების აღიარებისას ფასდება ტრანზაქციის ღირებულებით.

იჯარა

იმის განსაზღვრა თუ ხელშეკრულება არის (ან მოიცავს) იჯარას დაფუძნებულია შეთანხმების შინაარსზე. ხელშეკრულება არის, ან მოიცავს იჯარას თუ შეთანხმების შესრულება დაფუძნებულია სპეციფიური აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებაზე, იმ შემთხვევაშიც კი როდესაც ეს აქტივები არ არის აშკარად განსაზღვრული ხელშეკრულების საფუძველზე.

კომპანია, როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარა განსხვავდება ფინანსურისაგან. საოპერაციო იჯარის გადახდები აღირიცხება შესაბამისი პერიოდის საოპერაციო ხარჯებად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული საგადასახადო შემოსავალი აღარ არის შესაბამისი ფინანსურ ანგარიშგებისთვის განახლებული საგადასახადო კოდექსის გამო.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების ღირებულება განისაზღვრება უმცირესით ხარჯსა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება ნორმალური ბიზნესის მიმდინარეობის პირობებში გასაყიდ ფასსა და დასრულებისა და გაყიდვის მოსალოდნელ ხარჯებს შორის სხვაობით. ყოველ ანგარიშგების დღეს, მარაგები შეფასებულია გაუფასურებისთვის. თუ მარაგები გაუფასურდა, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასს გამოკლებული მისი დასრულებისა და გაყიდვისათვის გამზადების ხარჯი. გაუფასურების ზარალი მაშინათვე აღიარდება მოგება-ზარალზე.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შევებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაძამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებას მომავალ პერიოდში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კოდექსი და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება,

მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

5. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში არ გამოვლენილა. შესადარი ინფორმაცია დარჩა უცვლელი წინა სააღრიცხვო პერიოდის შემდგომ.

შპს „ბექარიონი-ს“
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2019 წლის 31 დეკემბერი
 (ლარი)

6. ძირითადი საშუალებები

	ავეჯი და ოფისის ადჭურვილობა	სულ
2019 წლის 1 იანვარი	196,393	196,393
შემოსვლა	34,516	34,516
2019 წლის 31 დეკემბერი	230,909	230,909
- დაგროვილი ცვეთა		
2019 წლის 1 იანვარი	(21,969)	(21,969)
ცვეთის ხარჯი	(42,025)	(42,025)
2019 წლის 31 დეკემბერი	(63,994)	(63,994)
წმინდა საბალანსო ღირებულება		
2019 წლის 1 იანვარი	196,393	196,393
2019 წლის 31 დეკემბერი	166,915	166,915

შპს „ბექარიონი-ს“
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2019 წლის 31 დეკემბერი
 (ლარი)

7. არამატერიალური აქტივები

არამატერიალურ აქტივს წარმოადგენს საბუღალტრო და მენეჯერული პროგრამები.

ისტორიული ღირებულება	სხვა	სულ
2018 წლის 1 იანვარი	12,167	12,167
შემოსვლა	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	12,167	12,167
ჩამოწერა	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	12,167	12,167
დაგროვილი ამორტიზაცია		
2018 წლის 1 იანვარი	-	-
ამორტიზაციის ხარჯი	(674)	(674)
2018 წლის 31 დეკემბერი	(674)	(674)
ამორტიზაციის ხარჯი	(1,035)	(1,035)
2019 წლის 31 დეკემბერი	(1,709)	(1,709)
წმინდა საბალანსო ღირებულება		
2018 წლის 1 იანვარი	12,167	12,167
2018 წლის 31 დეკემბერი	11,493	11,493
2019 წლის 31 დეკემბერი	10,458	10,458

შპს „ბექარიონი-ს“
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2019 წლის 31 დეკემბერი
 (ლარი)

8. ფული და ფულის ექვივალენტები

	2019	2018
ფული სალაროში	10,282	5,219
ფული საბანკო ანგარიშებზე	72,313	45,196
სულ	82,595	50,415

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2019	2018
სავაჭრო მოთხოვნები მიწოდებიდან	141,246	115,562
გადახდილი ავანსები	44,395	7,782
სულ	185,641	123,344

10. მარაგები

	2019	2018
სასაქონლო-მატერიალური მარაგი	567,331	419,626
სულ	567,331	419,626

11. გრძელვადიანი სესხები

კომპანის გააჩნია საქართველოს ბანკის სასესხო ვალდებულება, საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 12,4%-ს, რომელიც განკუთვნილი იყო საბრუნავი საშუალებების შესაძენად.

	2019	2018
გრძელვადიანი სესხები ბანკიდან	131,640	169,981
სულ სესხები	131,640	169,981

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2019	2018
სავაჭრო ვალდებულებები	445,220	423,743
სულ	445,220	423,743

შპს „ბექარიონი-ს“
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2019 წლის 31 დეკემბერი
 (ლარი)

13. ამონაგები

	2019
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	5,682,841
შემოსავალი მარკეტინგული საქმიანობიდან	87,528
სულ	5,770,369

14. პროდუქციის თვითღირებულება

	2019
გაცივებული საქონლის თვითღირებულება	(4,495,839)
სულ	(4,495,839)

15. ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები

	2019
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯი	(61,616)
საკონსულტაციო ხარჯი	(21,000)
დაზღვევის ხარჯი	(1,320)
დაცვის ხარჯი	(3,407)
საკანცელარიო ხარჯი	(5,931)
კომპიუტერის ხარჯი	(4,334)
ბანკის მომსახურების ხარჯი	(45,368)
ფრანჩაიზის ხარჯი	(106,331)
სამეურნეო ხარჯი	(9,057)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(197)
რემონტის ხარჯი	(12,490)
სარეკლამო მასალის ხარჯი	(6,170)
სხვა საერთო ხარჯი	(14,644)
სულ	(291,865)

შპს „ბექარიონი-ს“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერი
(ლარი)

16. არასაოპერაციო შემოსავალი

	2019
მატერიალურ ფასეულობათა ზედმეტობა	31,731
უკან დაბრუნების სხვაობა	623
სულ	32,354

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიამ მიიღო სესხი საქართველოს ბანკისგან 200,000 ლარის ოდენობით. სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები ანგარიშგების შედგენამდე არ დაფიქსირებულა.

შპს „ბექარიონი-ს“
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2019 წლის 31 დეკემბერი
 (ლარი)

შპს „ბექარიონი-ს“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერი
 (ლარი)

		12/31/2019	12/31/2018
აქტვები			
გრძელადანი აქტვები			
ძირითად საშუალებები	<u>6</u>	166,915	174,424
არამატურილი აქტვები	<u>7</u>	10,458	11,493
		177,373	185,917
მოგვადანი აქტვები			
ფულად ფულს ეკვივალენტები	<u>8</u>	82,595	50,415
სავაჭრომოთხოვნები და სხვა მიმდნარე აქტვები	<u>9</u>	185,641	123,344
მარგები	<u>10</u>	567,331	419,626
		835,567	593,385
მიღადანი აქტვები	-	1,012,940	779,302
მიღადანი კაპიტალ			
გაუნაწილებელ მოგება / (დგრევილ ზარალ)		436,080	185,578
	-	436,080	185,578
ვაფბულებები			
გრძელადანი ვაფბულებები			
გრძელადანი სესხები	<u>11</u>	131,640	169,981
	-	131,640	169,981
მოგვადანი ვაფბულებები			
სავაჭროდ სხვა მიმდნარე ვაფბულებები	<u>12</u>	445,220	423,743
		445,220	423,743
მიღადანი ვაფბულებები		576,860	593,724
მიღადანი კაპიტალ და ვაფბულებები		1,012,940	779,302

დარეჯან კოვზირიძე
 30 სექტემბერი, 2020
 თბილისი, საქართველო

შპს „ბექარიონი-ს“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერი
(ლარი)

შპს „ბექარიონი-ს“
სრული შემოსავლის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერი
(ლარი)

		12/31/2019
ამონაგები	13	5,770,369
ოფიციურება	14	(4,495,839)
საერთო მოგება		1,274,530
მიწოდების ხარჯები		(1,229)
დასაქმებულთა ანაზღაურება		(414,453)
ცვლა და ამორტიზაცია		(43,060)
საპროექტო ხარჯი :		(16,424)
ოჯრის ხარჯი		(116,147)
აღმოსაქმრებელი და სხვა საოპერაციო ხარჯი	15	(291,865)
საოპერაციო მოგება		391,352
არსაოპერაციო შემოსავალი	16	32,354
ფინანსური ხარჯი - წმინდი		32,354
მოგება დამატებითი		423,706
მოგების გადასახადი		-
წმინდი მოგება		423,706
სხვა სრული შემოსავალი:		
მიღწერილი სრული შემოსავალი		423,706



შპს „ბექარიონი-ს“
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2019 წლის 31 დეკემბერი
 (ლარი)

შპს „ბექარიონი-ს“
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერი
 (ლარი)

	საწესდბო კაპიტალ	გაუნაწილებელ მოგება	მიღიანი კაპიტალ
2018 წლის 31 დეკემბერი	-	185,578	185,578
გამოცხადებულ დივიდენდ		(173,204)	(173,204)
წმინდ მოგება	-	423,706	423,706
საწესდბოკაპიტალს ცვლუბა	-		-
2019 წლის 31 დეკემბერი	-	436,080	436,080


 დარეგისტრირებულ
 30 სექტემბერი, 2020
 წარმომადგენელი